საქართ. მემარცხენე სოციალ-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 211

ოთხშაბათი, 10 მაისი 1922 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან.

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ღრმად დამწუხრებული დედა მართა, ძმები და დები: რაჟდენ, კოწია და გრიგოლ ოჯახებითურთ, პავლე, ივანე, ელისაბედი და თამარი დათეშიძეები ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ სტუდენტის

**სტეფანე (ჭაჭულია) ყარამანის ძის დათეშიძის**

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათზე მიხეილის საავადმყოფოს სამლოცველოში. 254

## თანახმად მუშათა და წითელ არმიელთა

დეპუტატების საბჭოს ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებისა ამა წლის აპრილის 29 დან სახელები გამოცვლებად შემდეგ ალაგიებს: ალექსანდრეს ბაღი წოდებულ იქნება კარლ ლიბკნეხტის ბაღათ ხოლო ვერის აღმართი კი—არკადი ელბაქიძის აღმართად.

მდივანი მეხხი.

## ეროვნული პოლიტიკისათვის.

ეროვნული პოლიტიკა ორგვარია თავისი შინაარსითა და მეთოდებით. არ შეიძლება სრული იდენტივობა, ერთიდა იგივეობა არსებობდეს დიდ-ტ ნიან მპყრობელთა და დამონებულ ერთა ეროვნულ პოლიტიკის შორის. პირველნი, დიდი ერები თუ სახელმწიფოები, ახორციელებენ ეროვნულ პოლიტიკას, მაგრამ მათი პოლიტიკა უფრო აგებულია სხვა ხალხების ჩაგვრაზე და დამონებაზე; ეს არის პოლიტიკა იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის. ისტორიულად თანამედროვე იმპერიალიზმის სულის ჩამდგმელი არის ინგლისი. ინგლისი უდიდესი იმპერიალისტური სახელმწიფო არის დედამიწის ზურგზედ და დღესაც მისი ბატონობის ქვეშ იმყოფება რამოდენიმე ასი მილიონიანი კოლონიალური ერები.

იმპერიალიზმი არ არის პირმშო ცვალი კაპიტალისტური წყობილებისა. ძველი საუკუნის სახელმწიფოები შეურყევლივ ახორციელებდნენ იმპერიალისტურ პოლიტიკას და დაპყრობილი ხალხებიდან აკრეფილი ხარკები წარმოადგენდა ერთ უმთავრეს წყაროს ძველი რომის არსებობისათვის. იმპერიალიზმი ისტორიული ცხოვრების ვითარებაში იცვლებოდა, მაგრამ მისი ძირითადი ერთი და იგივე რჩებოდა. კაპიტალისტურმა კულტურამ მას ახალი შინაარსი და მეთოდები მისცა. თანამედროვე კაპიტალისტურს მეურნეობის გარეშე ჩამორჩენილ კაპიტალისტურად განვითარებულ კოლონიებისა არსებობა არ შეუძლია. იმპერიალიზმი ამ კაპიტალისტური ტენდენციების რეალური განსახიერება და მისი ცხოვრებაში გატარება. იმპერიალიზმი კაპიტალიზმის საგარეო პოლიტიკაა არსებითად, რომლის შინაარსი ჩამორჩენილ ხალხთა ყვლეფასა და დამონებაში გამოიხატება.

მაგრამ თუ ისტორიული ცხოვრების ერთ პოლუსზედ მოქმედებენ დიდი კაპიტალისტური მპყრობელნი, რომელთაც ეროვნული პოლიტიკა მხოლოდ ჩაგვრისა და სხვისი დამონებაში გამოიხატება, ამავე პოლიუსის მეორე მხარეზე იმყოფებიან ის ერები, რომელნიც ამ იმპერიალიზმის საექსპლოატაციო ობიექტს წარმოადგენენ და რომელთა ეროვნული პოლიტიკა მხოლოდ დამონებულ მდგომარეობიდან თავის განთავისუფლებისაკენ არის მიმართული.

ამ გვარად მსოფლიოში სოციალურ კლასთან ბრძოლასთან ერთად არსებობს დიდი ეროვნული ბრძოლაც, მჭიდროდ კლასებთან ერთად მყვლეფელი ერებიც, და ეს სოციალური და ეროვნული ბრძოლები ახასიათებს კაცობრიობის ისტორიული ცხოვრების ვითარებას. ისტორიას არ ახსოვს არც ერთი ეპოქა, არც ერთი ღირსშესანიშნავი ხანა, რომელიც აღსავსე არ ყოფილიყოს ამ დიადი ბრძოლის მომენტებით. მაგრამ მე-20 ე საუკუნე თავისი შინაარსით და მრავალ ფეროვნებით ამ მხრივ საკმაოდ განირჩევა სხვა ეპოქებისაგან. ჩვენი ხანა დიადი ეროვნული მოძრაობის ხანაც არის და თანამედროვე წვრილ ერთა ეროვნული შეგნება თავისი სიძლიერით უმაღლეს წვერვალს აღწევს. დღეს მთელი კაცობრიობა ეროვნული ბრძოლის ცეცხლშიც არის გახვეული და არ დარჩენილა არც ერთი კუთხე დედამიწის ზურგისა, სადაც ეროვნულ მოძრაობისათვის ხმა არ გამოეჩინოს. კულტურისგან დამონებულ ერებთან ერთად ბრძოლის საერთო ფერხულში ებმის აზიისა და აფრიკის ჩამორჩენილი კოლონიალური ხალხები და ის მოძრაობა თავის განსაკუთრებულ შინაარსა და სახეს აძლევს თანამედროვე რევოლუციონურს ეპოქას. კაპიტალისტური მეურნეობის დამრღვევთა რიგებში სხვაგან არა მარტო პროლეტარიატის შეგნებული რაზმები, არამედ ჩამორჩენილი ერების მყვლეფელი და საუკუნეების განმავლობაში უმოძრაოდ მყოფი მშრომელი მასებიც თანამედროვე საერთაშორისო რევოლუცია ათავისუფლებს კაპიტალიზმს მძიმე მონობისაგან, როგორც სოციალურ კლასებს, ისე დამონებულ ერებსაც. ამიტომ რევოლუცია აუცილებელი საშუალება არის დამონებულ ერთა განთავისუფლებლად, მათი სოციალური და კულტურული აყვავებისათვის. ეს არის გარდუვალი აუცილებლობა, რომლის გარეშე არც ერთს ერს არ შეუძლია მოიპოვოს თავისუფლება და მშვიდობიანობა. კაპიტალიზმი თავისი უკანასკნელი სახით წარმოადგენს ჩამორჩენილი ერებისათვის ჯოჯოხეთსა და ეროვნული მეურნეობის განადგურებას, რევოლუცია არღვევს ამ „მყვლეფელი დაწესებულების“ საფუძვლებს და ნიადაგს ამზადებს ახალი სოციალური ურთიერთობისათვის საერთაშორისო მაშტაბში. ამიტომ პატარა ერთა საღად გაგებული პოლიტიკა აუცილებლად მოითხოვს რევოლუციის ორიენტაციას, მისი საერთაშორისო მოძრაობისაკენ გადახრასა და პროლეტარულ რაზმებთან ერთად კაპიტალიზმის სიმაგრეების დასანგრევად ბრძოლას.

ამ დიად ბრძოლის პროცესში ისტორიამ ქართველი ხალხი დაჩაგრულ ერის მდგომარეობაში ჩააგდო და იგიც რევოლუციონურ რაზმებთან ერთად იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ეროვნული თავისუფლების მოსაპოებლად.

ისტორიულად საქართველო თითქმის მთელი თავისი არსებობის განმავლობაში ყოფილთვის წარმოადგენდა გარეშე ძალთა საექსპლოატაციო ობიექტს. მუსულმანური სახელმწიფონი სპარსეთ-ოსმალეთის სახით ერთის მხრით და მეორეს მხრით ერი მორწმუნე ცარიზმის—რუსეთი წარმოადგენს იმ გარეშე ძალებს, რომელნიც დაუნდობლად ანადგურებდნენ ქართველი ერის წარმატებას და სპობდნენ მისი წინმსვლელობის საფუძვლებს. ქართველი ხალხი დღესაც მწვავედ გრძნობს ამ ორი ვერაგი სახელმწიფოსაგან მოყენებულ ეროვნულ ტკივილებს; დღესაც ჩვენი ეროვნული სხეული დაზიანებული არის იმ აგრესიული პოლიტიკის წყალობით, რომელსაც ახორციელებდა საქართველოს მიმართ რუსეთის მეფე და ოსმალეთის სულთანი. ამიტომ საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ერის მთავარ საზრუნავ საგნად შეადგენდა ბრძოლა ამ იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავისი ეროვნული მეობის გადასარჩენად. ამ პოლიტიკას არ ახასიათებდა არავითარი აგრესიული მიზნები, ის არ ყოფილა რომელიმე ერის მოსასპობად მიმართული. მის მთავარი მიზანი იყო თავისი არსებობის გადარჩენა მოძალადეებულ მტრისაგან და საკუთარი ეროვნული აღორძინებისათვის ფართო ნიადაგის შემზადება, ეს პოლიტიკა საღი და გონიერი პოლიტიკა არის, და იგი მისაღებია ყველგან და ყოველთვის.

დღეს წარსული მდგომარეობა შეიცვალა; ქართველი ხალხი სხვა გვარს ისტორიულს კონიუნქტურის ხანაში იმყოფება, მას ირგვლივ სულ სხვა გვარი ძალები მოქმედებენ და სხვა პირობებთან აქვს საქმე, მაგრამ მისი ეროვნული ტკივილები ჯერ კიდევ არ არის განკურნებული და, შეიძლება, მრავალი დროც დაგვჭირდეს ამ იდეალის მიღწევამდე.

რუსული ცარიზმი დაეცა დიდი რევოლუციის წყალობით, მაგრამ მან დამახინჯებული ეროვნული სხეული დაგვიტოვა და დღესაც საქმე გვაქვს ამ იმპერიალიზმის ისტორიულ ნაშთებთან. რუსულმა იმპერიალიზმმა დაამახინჯა ჩვენი ეროვნული კულტურა, გასთელა ფეხქვეშ ჩვენი არსებობის საფუძვლება და დღეს, როდესაც უნდა მოხდეს ამ კულტურის რესტავრაცია, ამ ეროვნულ-აყვავებისა და აღდგენის მუშაობა, ჩვენგან ძლიერ დიდი გონიერება არის საჭირო, რომ ნათელსა და სწორს პოლიტიკის გზას დაუადგეთ. ამ ჟამთაც ჩვენ საქმე გვაქვს რუსულ კულტურასთან და რუსულ საქმიანობასთან, რომელიც თავისი მიზნებით არსებითად განსხვავდება ძველი რუსული კულტურისაგან. არც ერთს ჭეშმარიტს რევოლუციონერს აზრად არ მოუვა გაეყაროს რუსეთის საქმიანობას და მათთან დაუმოკიდებლად აწარმოოს რევოლუციის საქმეები, საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო მდგომარეობა დღეს ამას არ მოითხოვს და ამ ლოზუნგით დღეს მხოლოდ აშკარა ავანტიურისტები გამოდიან მაგრამ საჭიროა საღი ეროვნული პოლიტიკის წარმოება და ორი ერთ მასის ნამდვილი სოლიდარული ურთიერთობის განმტკიცება. ამ მხრივ ყოვიელ დიდ მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ დღეს ჩვენი ეროვნული კულტურა სავსებით უზრუნველყოფილი იყოს და იგი არ განიცდიდეს ერთგვარ აგრესიულ ძალდატანებას რუსული კულტურისაგან. დღესაც, საბჭოთა ხელისუფლების დროს, რუსული კულტურა მთელი თავისი ენერგიით შემოიჭრა ჩვენს ოჯახში და კვლავ განაგრძობს ჩვენი კულტურის შევიწროვებას; ამ მხრივ პირდაპირ სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფება ქართული ენა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას უნდა აქცევდეს ჩვენი ეროვნული კულტურის საქმეს და მთელი ძალღონით უნდა შეეცადოს, რომ მან არ განიცადოს ამ მხრივ შევიწროვება. ჩვენი ხალხის შემეცნებაში ეროვნულ საკითხსა და ეროვნული კულტურის საქმეს დიდი ადგილი უჭირავს; მშრომელი ხალხი და ფართო ინტელიგენცია დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი ეროვნული მდგომარეობის მოწესრიგების საქმეს. ეს არც დასაგმობია და არც გასაკვირველი. ხალხი, რომელმაც განიცადა საუკუნეების განმავლობაში ეროვნული შევიწროება, გასაკვირი არ არის, თუ ეროვნული საკითხით სულდგმულობს და ეროვნული საკითხით არის დაინტერესებული.

ეროვნული კულტურის დაცვა და ეროვნული მეობის შენარჩუნება გონიერი პოლიტიკის ნაყოფია და ამის გარეშე არ მიდის ჩვენი ხალხის მოთხოვნილებანი.

ხელისუფლებამ ამ გარემოებას სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს და თავისი გეზი იმ მხრით მიმართოს, რომელიც საშუალებას მისცემს ჩვენს ხალხს თავისუფალი ეროვნული შემოქმედებისათვის.

გარეშე ამ ეროვნული პოლიტიკისა არც ერთ პარტიას არ შეეძლება ქართველი ხალხის სიმპატიები ხანგრძლივად დაიმსახუროს და მისი მესაჭე შეიქმნეს.

ვისაც სურს ჩვენს მშრომელ ხალხთან მუდმივად ყოფნა, მან მისი ეროვნული მისწრაფებანი უნდა გაიზიაროს.

## მოკავშირეთა მემორანდუმი

**სანტა მარგარიტა,** 3 მაისი. 3 მ ისს რუსეთის დელეგაციისათვის გადაცემული მოკავშირეთა მემორანდუმის შინაარსის უმთავრეს ინტერესს შეიცავს ახსნა იმისა, თუ რა უნდა გააკეთოს რუსეთმა, რომ მან ისარგებლოს ანტანტის გაურკვეველი და ბუნდოვანი დახმარებით.

**პირველი მუხლი,** რომელიც ეხება პროპაგანდას, ავალებს საბჭოთა მთავრობას არ ჩაერიოს სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში და უარი სთქვას ყოველგვარ ისეთ მოქმედებებზე, რომელსაც შეუძლია ამ სახელმწიფოთა ტერიტორიალური და პოლიტიკური მდგომარეობა დაარღვიოს. იგი აგრეთვე ავალებს მას აღკვეთოს თავის ტერიტორიაზე ყოველგვარი ისეთი ცდა, რომელიც მიმართული იქნება სხვა სახელმწიფოებში რევოლუციონური მთავრობის დახმარებისაკენ.

**მეორე მუხლი**—ეხება სამხედრო ვალებს. უცხო სახელმწიფონი არ მოითხოვენ ეხლავე რაიმე გადახდის დაწყებას ხოლო ყველა მოკავშირეთა და ამერიკის შორის სამხედრო ვალების საკითხის მოწესრიგების შემდეგ, მოკავშირეთა მთავრობები წინადადებას მისცემენ თავიანთ პარლამენტებს, ამავე საფუძვლების მიხედვით შეამცირონ ის ვალები, რომელიც რუსეთმა უნდა გადიხადოს. რასაკვირველია, მხედველობაში იქნება მიღებული რუსეთის ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა. თავის მხრივ საბჭოთა მთავრობამ უარი უნდა სთქვას თავის კონტრ-პრეტენზიებზე, რომელნიც დაკავშირებულნი არიან უცხო სახელმწიფოთა ჩარევასთან. ის თანხები, რომელიც ძველ და ყოფილ მთავრობათა ანგარიშზე არსებობს საზღვარგარეთ მოხმარდება სამხედრო ვალების დაფარვას და საბჭოთა მთავრობას უკ ნ არ დაუბრუნდება.

**მესამე მუხლი**—უცხო სახელმწიფოთა ყველა სხვა ფინანსიური პრეტენზიები რუსეთის მიმართ მოიპობილ იქნება მაშინვე, როგორც კი მოწესრიგებულ იქნება სამხედრო ვალების საკითხი.

**მეოთხე მუხლი**—ამბობს, რომ საბჭოთა მთავრობამ უნდა იცნოს ყველა ის ვალდებულებანი, რომელიც დაკისრებული ჰქონდათ ყოფილ მთავრობებს უცხოელების მიმართ.

**მეხუთე მუხლში** ლაპარაკია ქალაქის თვითმართველობათა ვალებზე, რომელიც უნდა იცნოს ადგილობრივმა საბჭოებმა, ისეთი შემთხვევების გამოკლებით, როდესაც სესხი აღებულია მაშინ, როცა ქალაქს იჭერდა არა საბჭოთა ჯარი.

**მეექვსე მუხლი** ამბობს, რომ საბჭოთა მთავრობას ერთი წლის განმავლობაში შეუძლია მოახდინოს შეთანხმება რუსული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეთა წარმომადგენლებთან, ვალების გადახდის წესისა და ვალების შესახებ, აგრეთვე პროცენტების შემცირების თაობაზეც, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული რუსეთის დღევანდელი პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ მოხდა საკითხს სწყვეტს ის კომისია, რომლის ერთ წევრსაც ნიშნავს საბჭოთა მთავრობა, მეორეს ფასიანი ქაღალდების მესაკუთრენი, ხოლო დანარჩენ ორ წევრსა და თავმჯდომარეს ნიშნავს ამერიკის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარე, ან ერთა ლიგის საბჭო ან ჰააგის ტრიბუნალის პრეზიდენტი (ე. ი. საერთაშორისო სასამართლო, რომელიც იმყოფება ჰოლანდიაში).

**მეშვიდე მუხლში** ლაპარაკია იმაზე, რომ რუსეთს უფლება ეძლევა საკუთრების როგორი სისტემაც უნდა ის შემოიღოს შინაური მეურნეობისათვის და მმართველობისათვის, მაგრამ რუსეთისათვის უცხოელთა დახმარების გასაძლიერებლად საბჭოთა მთავრობა გამოსთქვამს სურვილს დაუბრუნოს უცხოელ მესაკუთრეთ ჩამორთმეული ქონება ან და აუნაზღაუროს იგი მათ. ამ შემთხვევაში ანაზღაურება უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც უცხოელები უარს განაცხადებენ კვლავ ისარგებლონ თავიანთი უფლებებით. იმ შემთხვევაში თუ ანაზღაურების რაოდენობაში ვერ შეთანხმდნენ, მაშინ საკითხს სწყვეტს შერეული ტრიბუნალი,—შეუძლია თუ არა მესაკუთრეს მიიღოს იჯარით თავისი ქონება ისეთ პირობებში, რომელიც უფრო საზარალო იქნება, ვინემ ყოფილი სარგებლობის უფლება. თუ ტრიბუნალის გადაწყვეტილებით, იჯარით აღება შეუძლებლად იქნება ცნობილი, ფულით ანაზღაურების რაოდენობას სწყვეტს თვითონ ტრიბუნალი. საბჭოთა მთავრობას უფლება არა აქვს გადასცეს იჯარით მესამე პირს ის ქონება, რომელიც მან არ გადასცა მის ყოფილ მესაკუთრეს.

**მერვე მუხლი.** საშუალებას აძლევს უცხოელებს გადაახდევინონ ზარალი კერძო პირებსაც, ამ შემთხვევაში, თუ გადახდა შეუძლებელია, საბჭოთა მთავრობის მოქმედებისა თუ არ მოქმედების მეოხებით, პასუხის მგებლობა მაინც გადადის საბჭოთა მთავრობაზე.

**მეათე მუხლი.** ეხება შერეულ საარბიტრაჟო ტრიბუნალს, რომელსაც ნიშნავს თვითეული სახელმწიფო. ამ ტრიბუნალის ერთ წევრს ნიშნავს საბჭოთა მთავრობა, მეორეს დაინტერესებული სახელმწიფო, მესამეს კი საარბიტრაჟო კომისიის თავმჯდომარე.

**მეთერთმეტე მუხლი.** (გამოტოვებულია არ არის გადმოცემული)

**მეთორმეტე მუხლი.** გაურკვევლად არის ლაპარაკი რუსეთისა და უცხოელების შორის იმ ვალებისა და კონტრაქტების შესახებ, რომლის შესახებაც საბჭოთა მთავრობასთან განსაკუთრებული შეთანხმება უნდა მოხდეს.

**მეცამეტე მუხლის** ძალით, რუსეთმა უნდა დაუბრუნოს რუმინიას მისგან რუსეთში შესანახად გაგზავნილი განძეულობა.

ხსენებული მემორანდუმი წარდგენილია იტალიის, საფრანგეთის, ინგლისის, იაპონიის, პოლონეთის, რუმინიის, შვეიცარიის და შვეციის დელეგაციათა სახელით. ბელგიის დელეგაციამ უარი სთქვა ხელი მოეწერა მემორანდუმისათვის. საფრანგეთის დელეგაციამ განაცხადა პირობითი თანხმობა ხელის მოწერაზე სანამდის მიიღებდეს საფრანგეთის მთავრობისაგან სათანადო ინსტრუქციებს.

ბელგიამ უარი განაცხადა ხელის მოწერაზე მეშვიდე მუხლის წინააღმდეგ წამოყენებულ მოსაზრებათა გამო. იგი მოითხოვდა საკუთრების დაბრუნებას.

ამ რიგად ჩვენ საქმე გვაქვს რუსეთის საკითხის შესახებ, ბურჟუაზიულ ბანაკში მომხდარ განხეთქილების ფაქტთან.

**მემორანდუმის გადაცემის შემდეგ.**

**ბერლინი 4 მაისი.** გერმანული პრესა იუწყება, რომ ის კრიზისი, რომელიც შეიქნა გენუაში საფრანგეთისა და რუსეთის პოზიციით რუსეთის საკითხში, საერთო რწმენით დამთავრდება სეპარატიული მოლაპარაკებით ინგლისისა და სხვა სახელმწიფოებისა რუსეთთან. ლოიდ-ჯორჯისა და ვირტის შეხვედრამ საოცარი სენსაცია მოახდინა გენუაში და გამოიწვია მრავალი ხმები რუსეთ გერმანიის და ინგლის რუსეთის დამოკიდებულებაში სხვა და სხვა კომბინაციების მოხდენის შესახებ.

# გენუას კონფერენციის გარშემო

## რუსეთის პრობლემა

### მდგომარეობა გართულებულია

**ბერლინი.** 7 მაისი. ამ უკანასკნელ დღეებში მოხდა გენუიდან მოდენილი ინტერვიუ ყველა ერების დელეგატებთან. ყველა აღნიშნავს, რომ მდგომარეობა გართულებულია. შეთანხმების მოხდენას მით უფრო მრავალი დაბრკოლება ეღობება, რომ საფრანგეთსა და ინგლისს სახელი აქვთ გატეხილი რუსეთის შესახებ დაკვეთებული სხვა და სხვა გვარი განცხადებებით. საერთოდ აზრი ისეთია, რომ ბარტუმ უფრო გაართულა ეს განხეთქილება იმ განცხადებით, რომ საფრანგეთი უარს აცხადებს მიიღოს მონაწილეობა რუსეთთან შეთანხმებაში,

### წინააღმდეგობანი ძლიერდება

**ბორდო** 7 მაისი. გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი“ იტყობინება; იაპონიამ, შვეიცარიამ, ჰოლანდიამ და პოლონეთმა განაცხადეს, რომ ისინი მოხსნიან თავის ხელის მოწერას რუსეთისათვის გადაცემულ მემორანდუმზე იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი არ მოაწერს ხელს მემორანდუმს.

### რუსეთის დელეგაცია მუშაობს

**ბორდო.** 7 მაისი, რუსეთის დელეგაციას შეადგენენ ქონდა თათბირი მოკავშირეთა მიერ წამოყენებულ წინადადებასთან თავისი პოზიციის გამო სარკვევად. დელეგაციის ნაწილი, იოფეს მეთაურობით, გაემგზავრა ბერლინში, სადაც იგი შეხვდა ლენინის მიერ გამოგზავნილ მისიას.

### მით უარესი საფრანგეთისათვის

**ბორდო.** 8 მაისი, ბარტუმ აცნობა ფაქტას, რომ საფრანგეთი და ბელგია არ უერთდებიან იმ მემორანდუმს, რომელიც გადაეცა რუსეთის დელეგაციას.

**ნაუენი.** 7 მაისი. კონფერენციის ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ ბელგია მოითხოვს მისცეს მას საშუალება მოელაპარაკოს საფრანგეთს და მოახერხოს დაითანხმოს იგი რუსეთთან შეთანხმების ხელის მოწერაზე.

### რუსეთის გარეშე შეუძლებელია

**ბერლინი.** 7 მაისი. სერ რობერტ-ხორნმა განაცხადა, რომ ევროპას არ ძალუძს აღადგინოს ეკონომიური წონასწორობა რუსეთის გარეშე. რუსეთი ყოველ მიზეზის გარეშე უნდა დაუბრუნოთ ევროპის საკითხთა ოჯახში.

### ინტერესების სხვა და სხვაობა.

**ბერლინი.** 7 მაისი. პრაგის გაზეთი „ჩეხსკო სლოვო“ სწერს: ჩეხო-სლოვაკიას საბჭოთა რუსეთის საკითხში არ შეუძლია გაიზიაროს საფრანგეთის თვალსაზრისი. საფრანგეთისა და ჩეხო-სლოვაკიის ინტერესები განსხვავდებიან ერთი მეორისაგან.

### ჩიჩერინის განცხადება.

**ბორდო.** 7 მაისი. ჩიჩერინმა, რომის გაზეთ „ტრიბუნა“-ს კორესპონდენტთან ბაასის დროს განაცხადა, რომ საბჭოთა მოკავშირეთა მემორანდუმის მიღება. საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია დაეთანხმოს საზღვარ-გარეთ კომუნისტური პროპაგანდის შეწყვეტის მოთხოვნილებას, მიუღებელია აგრეთვე მოთხოვნილებანი საარბიტრაჟო სასამართლოსი და კერძო საკუთრების უზრუნველყოფის ზომათა შესახებ.

### კრედიტები რუსეთს.

**პარიზი** 7 გაზეთ „დეივრი“-ს ცნობით. სკირმუნდა წინადადება შეიტანა დაეგზავნოთ რუსეთში ფინანსისტებისა და ეკონომისტების კომისია, რათა აღნიშნულიყო იქნეს გამორკვეული შესაძლებლობა საბჭოთა მთავრობისათვის კრედიტების მიცემისა.

**ბორდო,** 7 მაისი. გაზეთი „ინდი-პენდენს ბელჟი“ სწერს: ჩიჩერინმა რეზიუმე გაუკეთა რა—რუსეთის საკითხს, პირადაპირ შეეკითხა მისცა შანცერსა და ლოიდ ჯორჯს: მისცემენ თუ არა მოკავშირენი რუსეთს დაუყოვნებლივ 3 მილიარდ ფრანკს ოქროთი. ლოიდ ჯორჯმა და შანცერმა აღნიშნა რა რუსეთის საჭიროება, მიუხედავად ამისა მაინც უპასუხეს, რომ ამ კრედიტის მიცემა რუსეთისათვის შეუძლებელია ევროპის სახელმწიფოთა კრიტიკული მდგომარეობისა და პარლამენტის მხრივ ოპოზიციის გამო. ინგლისი და იტალია დაეხმარებიან კრედიტით მხოლოდ იმ მწარმოებლებს—ინგლისელებს და იტალიელებს, რომელნიც გაემგზავრებიან რუსეთში ამა თუ იმ წარმოების მოწყობა ორგანიზაციისათვის.

### არკვევენ მდგომარეობას

**გენუა,** 7 მაისი. ბარტუსა, რომელიც უკვე დაბრუნდა გენუაში, ლოიდ ჯორჯსა და შანცერს შორის გაიმართა ფრიად საყურადღებო თათბირი. ამის შემდეგ ბარტუს თათბირი ქონდა ფაქტასთან, ხოლო შანცერს ბრატიანოსთან. ამ თათბირების მიზანია კონფერენციაზე შექმნილი მდგომარეობის გამორკვევა. უმთავრესად იხილავდნენ რუსეთის საკითხს და საგარანტიო ხელშეკრულებას, რომლის მიზანიც არის ევროპაში ათი წლით მშვიდობიანობის ჩამოგდება.

**რომი** 8 მაისი. 7 მაისს დილის ათ საათზე გენუაში ჩამოვიდა კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტა, სადგურზე მოხდა თათბირი ფაქტასა და შანცერს შორის. შანცერმა დაწვრილებით გააცნო კონფერენციის თავმჯდომარეს გენუაში შექმნილი მდგომარეობა და ის დაბრკოლებანი, რომელიც ხვდებიან რუსეთის საკითხის გადაჭრას. შანცერმა აცნობა მას მის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯები, რომელიც მიმართული იყო შეთანხმებისაკენ და აგრეთვე ის განცხადება, რომელიც მან გაუკეთა საფრანგეთის დელეგაციის მეთაურს ბარტუს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია შეიცვალოს მეგობრული დამოკიდებულება საფრანგეთსა და იტალიას შორის, როგორათაც არ უნდა დამთავრდეს კონფერენცია. ფაქტამ მოიწონა შანცერის ყველა მოქმედება და აღნიშნა, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯები სავსებით შეეფერება იტალიის ინტერესებს და იტალიის თვალსაზრისს.

### ჩიჩერინისა და ფაქტას ბაასი

**რომი.** 8 მაისი, როდესაც კონფერენციის თავმჯდომარის მატარებელი გაჩერდა რაპალოში, ფაქტას ვაგონში შევიდა რუსეთის დელეგაციის მეთაური ჩიჩერინი, რომელიც მიესალმა ფაქტას და გაემგზავრა მასთან ერთად. გზაზე ჩიჩერინსა და ფაქტას ბაასი ქონდათ კონფერენციის მუშაობის შესახებ. ბაას გულითადი ხასიათი ქონდა. ფაქტამ, სხვათა შორის, ჩიჩერინის ყურადღება მიაქცია იმას, რომ საქართველო კონფერენცია ნაყოფიერად ჩატარებულ იქნეს, რაც არა ნაკლებ შეეფერება ევროპის ინტერესებს, ვინემ რუსეთისას. ფაქტამ სთხოვა ჩიჩერინს, რომ რუსეთმა თავის მხრივ არ შეუშალოს ხელი კონფერენციის საბოლოო ნაყოფიერებას, რომლის შედეგებიც ყველასათვის ხელსაყრელი იქნება. გენუაში ჩასვლისას, ფაქტა გაემგზავრა მეფის სასახლეში, სადაც იგი დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას.

### ჟუჟუთ მტკიცედ

**გენუა.** 7 მაისი, გავრცელდა ხმები, თითქოს რუსეთის დელეგაციამ პეტერბურგიდან მიიღო რადიო—დეპეშა, რომლითაც მას წინადადებას აძლევენ მოკავშირეთა მემორანდუმის მიმართ შეურიგებელი პოზიცია დაიკავოს.

### ყოველ საათში მოელიან.

**გენუა** 7 მაისი. რუსეთის პასუხის შესახებ მხოლოდ თავიანთ მოსაზრებებს აყენებენ, ყოველ შემთხვევაში ფიქრობენ რომ პასუხი მზად იქნება არა უადრეს სამშაბათისა. მოსკოვიდან ჯერაც არ მიუღიათ ინსტრუქციები, მაგრამ მას მოელიან ყოველ საათში.

### ხუპერმლიული მოლაპარაკება

**ბერლინი** 7 მაისი. თითქმის ყველას სწამს, რომ იმ შემთხვევაში თუ გენუის კონფერენციის მუშაობა უნაყოფოდ დამთავრდა ე. ი. თუ არ მოხერხდა რუსეთთან საერთო შეთანხმება, ბევრი ევროპიული სახელმწიფოთაგანი წაბაძავს გერმანიის მაგალითს და შეკრავს რუსეთთან ისეთსავე ხელშეკრულებას, როგორიც იყო რაპალოსი.

### სახელმწიფოთა გადაჯგუფება.

**ბერლინი** 7 მაისი. იმ ფაქტიდან, რომ ლოიდ-ჯორჯს თათბირი ქონდა პოლონეთისა და სამხრეთ სლავის გარეშე საქმეთა მინისტრებთან,—ვირტის მონაწილეობით, გამოყავთ ის დასკვნა, რომ ლოიდ-ჯორჯს განზრახული აქვს სახელმწიფოთა ახალი გადაჯგუფება და ამზადებს იმ სახელმწიფოთა ჯგუფს, რომელთაც სურვილი აქვთ აღადგინონ დამოკიდებულება რუსეთთან.

### ლოიდ-ჯორჯი ხელს იბანს.

**პარიზი,** 7 მაისი. გაზეთი „პტი პარიზიენი იტყობინება: იმ შემთხვევაში თუ რუსეთი უარს იტყვის მემორანდუმზე, ლოიდ-ჯორჯი მოითხოვს კონფერენციის უკანასკნელი პლენარული სხდომის მოწვევას, რომელზედაც ის შეიტანს წინადადებას შესწყვიტონ მომავლში კონფერენციის მუშაობა. ამ სხდომაზე ლოიდ-ჯორჯი აღნიშნავს კონფერენციის კრახის მიზეზებს და განაცხადებს, რომ ინგლისი მომავალში უარს იტყვის ევროპის საქმეების განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე.

### ინტერვიუ ჩიჩერინთან

**ვარშავა.** 5 მაისი, ინტერვიუს დროს, ჩიჩერინმა განაცხადა, რომ რუსეთის დელეგაცია მემორანდუმის უმეტეს მუხლების შესახებ წარადგენს თავის საწინააღმდეგო მოსაზრებებს. მას უაზრობად მიაჩნია რუმინიას ეკავოს ბესარაბია და იმავე დროს რუსეთს ავალებდეს თავის განძეულების დაბრუნებას.

„ჩვენ პასუხს გავცემთ აგრეთვე, სთქვა ჩიჩერინმა, „პირველი პუნქტის შესახებაც, რომელიც ეხება პროპაგანდის საკითხს, რადგანაც იგი არა თუ გვეკრძალავს ყოველგვარ აგიტაციას უცხო სახელმწიფოებში, არამედ მოითხოვს, რომ რუსეთის მთავრობამ აკრძალოს ყოველგვარი პროპაგანდა, რომელიც შეუძლია გასწიოს უცხოეთ მოქალაქეებმა თავიანთი მთავრობის წინააღმდეგ რუსეთის ტერიტორიაზე. მეშვიდე მუხლი, სადაც ლაპარაკია კერძო საკუთრების შესახებ, აგრეთვე მიუღებელია ჩვენთვის. საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია მიიღოს თავის თავზე ვალდებულება კონცესიების დაბრუნების შესახებ. მაგრამ, ცხადია, რომ კონცესიების დროს პირველ ყოვლისა მხედველობაში იქნება მიღებული ყოფილ მესაკუთრეთა ინტერესები.

### ბარტუს ახალი ინსტრუქციების შესახებ.

**ვარშავა** 6 მაისი. საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ მისცა ბარტუს ინსტრუქცია, რომლითაც მას ევალება ხელი მოაწეროს საერთო-ევროპიული მშვიდობიანობის გარანტიების კონვენციას იმ შემთხვევაში, თუ მას პირველად ხელს მოაწერენ რუსეთის დელეგაციები.

### რუსეთის ხუხუს მენახებ.

**ვარშავა.** 7 მაისი. გაზეთი „რეჩ პოლიტი“ ... კომისიამ მიიღო საბჭოთა ... მემორანდუმი ... ლობს მიიღოს 6 მილიარდი მანეთი როთი, მეურნეობის აღსადგენათ, 5 ლიარდი ტრანსპორტის მოსაწესრიგებლად და 1 მილიარდი მრეწველობის აღსადგენათ.

### მოკავშირენი და გერმანია.

**ხან-პაოლო** 7 მაისი. ბერლინი იტყობინებიან: გერმანიის პრესა ეხება რა ლოიდ-ჯორჯისა და რატენაუს ხვედრას აღნიშნავს, რომ ეს გარემო ახალი ფაზის დაწყების მომასწავებელი მოკავშირეთა გერმანიასთან მოლაპარაკების საკითხში.

### პრესა დაიბნა.

**სანტა მარგარიტა.** 7 მაისი. ბურჟუაზიული პრესის რეპორტიორებს მბრძანებელიც კი სასოწარკვეთილებაში არ არავითარი ახალი ამბები, არავითარი ფაქტები; ყოველივე უნდა გამოიგონონ, ხოლო ეს კი ყველას მოსწყინდა. გა... თები დაიბნენ იმის გარკვევაში მ... დებს თუ არა რუსეთი მოკავშირე... მემორანდუმს.

### რუსეთის დელეგაციის ნაწილის გ... გზავრების გამო

**სანტა-მარგარიტა.** 7 მაისი რუსეთის დელეგაციისა და ექსპერტების ნაწილის გენუიდან გამგზავრებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია. მას უცქერიან, როგორც ცუდ ნიშანს. ინგლისის ჟურნალისტები ამშვიდებენ ყველას და აცხადებენ, რომ ამაში ცუდი არაფერი არ არის, რადგან რუსეთის დელეგატები სრულიად რუსეთის ადმასკომის სესიაზე მიემგზავრებიან.

### იტალია და რუსეთი

**სანტა-მარგარიტა.** 7 მაისი. იტალიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს რამოდენიმე შენიშვნა ცნობის შესახებ, რომ კრასინი და ბოროვსკი შევიდენ იტალია-რუსეთის დაახლოვების საზოგადოების კომიტეტში. კომიტეტში იტალიის წარმომადგენლობაში შედის საერთო შრომის კონფედერაციის მრეწველთა ფრაქციის თავმჯდომარე, იტალიის კოოპერატივის წარმომადგენელი და სხვები, კომიტეტი იტალიელი წარმომადგენლებმა, ჩვენ წარმომადგენლებთან ბაასის დროს, გამოარკვიეს რა საშუალებით შეიძლება მოახლოვება ამ ორი სახელმწიფოთა შორის რეალურ ეკონომიურ ურთიერთობის აღდგენის მომენტისა. რაც უფრო

# „ჰამლეტ*)“

(ჩემი წარმოდგენის გამო. 15 მაისს).

„მაღალ ტაძრში—მაღალია სულის კვეთებაც“.

—„ბევრი რა ხდება, ჰორაციო, ზეცაზე და ქვეყნად, რაც ფილოსოფოსთ სიზმრად არც კი მოლანდებიათ“.

—„დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა“.

შექსპირი.

რა არის ტრაგედია „ჰამლეტ“?

ტრაგედია „ჰამლეტ“ არის კაცობრიობის აზროვნების ტრაგედია.

რა არის თვით ჰამლეტ—როგორც პიროვნება?

ჰამლეტი—არის ადამიანი მსოფლიოს ახალ შემეცნების აზრის მატარებელი, იმ შემეცნების, რაც მსოფლიოში მოხდა დიდი კოსმიური გარდატეხა და იშვა ადამიანი უკიდურეს ინდივიდუალიზმის.

ჰამლეტის ტრაგიკი—ეს მსოფლიოს ტრაგიკია და მისი „ყოფნა არ ყოფნა“ მთელი კაცობრიობის „ყოფნა არ ყოფნაა“ და იქნება ჰამლეტი არასდროს არა ყოფილა ისე თანადროული,—როგორც დღეს.

კაცობრიობამ განვლო დიდი ევოლუციონური ეტაპები. სამმა საუკუნემ გაიარა მას შემდეგ, რაც დაიწერა ტრაგედია „ჰამლეტ“ და ამ სამს საუკუნის შემდეგ, არამც თუ „ჰამლეტი“ დაშორდა კაცობრიობას, პირიქით უფრო მიუახლოვდა და მის წინაშე მთელი თავისი სისასტიკით და ტრაგიზმით წარსდგა.

ეხლა, როდესაც მსოფლიო ნგრევის პროცესს განიცდის, როდესაც კაცობრიობის ცხოვრება აბობრდა და აიმღვრა, როდესაც ადამიანის კულტურა ლეწით და მტვრევით მიექანება უფსკრულისაკენ, იქნებ იმიტომ, რომ დანგრეულზე—ახალი აღაშენოს—შექსპირის „ჰამლეტი“ ამაზე ყველაზედ უფრო ნათლად ღაღადებს. დღეს სულელი ადამიანი თუ გამოვა და იტყვის, რომ ტრაგედია „ჰამლეტი“ არის შურისძიების ტრაგედიაო, ჩვენმა შემეცნებამ უკვე გაიარა საშუალო საუკუნოების მსოფლმხედველობა. კოსმოსში უკვე მოხდა გარდატეხა და ახალ შემეცნებისთვის ადვილი უნდა იყოს ჰამლეტის ვინაობის გაგებაც.

შექსპირმა ჰამლეტი დაგვიხატა არა როგორც შურის მაძიებელი, არამედ როგორც მეცნიერი, შურისძიება ტრაგედიაში არის მხოლოდ ინტრიგა და თვით ცილდებული ტრაგედია შურისძიების თემაზე კი არ არის აშენებული, როგორც ამას ბევრი ფიქრობს, არ მედ ფილოსოფიურს ერუდიციაზე.

ბერლინის უნივერსიტეტში, ცნობილი პროფესორი ჰეგელიანელი კ. ვერდერი ერთ დროს ტრაგედია „ჰამლეტზე“ მთელ რიგ ლექციებს კითხულობდა. მის ჰამლეტის დახასიათებაში ბევრი ჭკუა-მახვილი აზრი იყო გატარებული, მაგრამ პროფესორი მაინც ვერ აცდა იმ შეცდომის გზას, რომლითაც ვიდოდნენ მთელი წყება „ჰამლეტის“ კომენტატორების. კოლრიჯ, რიდი, ჯონსონი, მელონი, ტიკი და ისე გისინჯით, თვით ბრანდესი და გერვინუსიც, რომელნიც ერთ დროს საუკეთესო შექსპიროლოგებად ითვლებოდნენ. ეს გზა იყო ის გზა, რომ ყველა კრიტიკოსის აზრით ტრაგედია „ჰამლეტი“ შურის ძიების თემაზე ყოფილიყოს ვითომ დაწერილი, მხოლოდ მთავარი გმირი კი როგორც უხერხული და გაუბედავი შურის მაძიებელი გამოყვანილი, აი ეს შეცდომა, რომლის გარშემო შექმნა ნამდვილი გაუგებრობის ატმოსფერა.

უმრავლესი კრიტიკოსები იმ აზრს ადგენენ, რომ მართლაც შექსპირმა თავის გმირს ერთად ერთი მოვალეობად დაავალა, რომ შური ეგო თავის მამის მკვლელისთვის და აქედან გამოიყვანეს ის დასკვნა, რომ ჰამლეტი ბუნებით არის სუსტი ადამიანი სუსტი ნებისყოფით, გაუბედავი, მერყევი, მაშინ, როდესაც ავტორს სულ სხვა მიზანი ჰქონდა ალებული და თავისი გმირი გამოიყვანა მხოლოდ, როგორც მეცნიერი და ჩააყენა იმ მდგომარეობაში, რომ ადამიანის ყოველივე დადებითი და უარყოფითი მხარეები გადაეჭრა და თვითეული საკითხი პრობლემად გადაექცია.

შექსპირს სრულიად არ აინტერესებდა, რომ ჰამლეტი დაესახნა საშუალო საუკუნოების შურის მაძიებელ გმირად. ჰამლეტი—უწინარეს ყოვლისა არის ჯერ ფილოსოფოსი და ესტეტი. იგი არა ჰგავს იმ ხალხს, რომელთაც იარაღის ცლარუნი უფრო იტაცებთ, ვიდრე დამშვიდებული მეცნიერება და ხელოვნება. ჰამლეტი ბუნებით პოეტია და იგი გრძნობს და ლაპარაკობს ისე, როგორც არტისტი. მისი მეგობრები არიან არა ლაერტისთანა და გილდენსტერნ-როზენკრანტისთანა ხალხი, არამედ აქტიორები, მესაფლავენი, ჰორაციასთანა ადამიანები, ყველა ისინი, ვისი სულიც არ არის შებღალული „სასახლის ჰაერით“ და ვინც უფრო ბუნების წიაღზე ცხოვრობს და ბუნებასთან არის დაახლოვებული. ეს იმიტომ, რომ თვით ჰამლეტიც გრძნობს ბუნებას და მხოლოდ ბუნების სილამაზისკენ მიისწრაფის და აკი ხშირად მოუძღვნის ხოლმე ბუნებას მშვენიერ ეპიტეტებს, ლამაზ წარწერებს.

შექსპირს რომ მართლაც თავის ტრაგედიაში შურის ძიებისათვის უმთავრესი ყურადღება მიექცია, მაშინ „ჰამლეტი“ ტრაგედია კი არ იქნებოდა, არამედ უბრალო საგა, ფანტასტიურ ელფერით შემოსილი. შექსპირი კი ყოველთვის შორს მიდის. ის თავის დრამებს იმისთანა ინტრიგებით იწყებს, რომ მაყურებელში ჰბადებს ერთ და იმავე დროს უცნაურობის ქსელს და სურვილს ინტრიგის მალე გახსნას, ესე იგი დასკვნას-დამთავრებას.

მსოფლიოს ლიტერატურაში მხოლოდ ერთმა დრამატურგმა იცოდა დრამატიული ხელოვნება. ეს ერთი იყო გიგანტი—შექსპირი. ფსევდო კლასიციზმს მხოლოდ შექსპირმა მოუღო ბოლო. შექსპირამდის არვინ არ იცოდა თუ რა იყო დრამატიული კოლიზია. მან პირველად,—და თითქმის შემდეგ აღარავის განუმეორებია—გვიჩვენა დრამატურგის ვირტუოზობა ტექნიკურ სფეროში. დღემდის სამაგალითოდ დარჩა მისი „მაკბეტ“-ის ჯადოსნური ტექნიკური განვითარება, რომლის დრამატიული ხლართი სტიქიურ ხმაურით, საზარელი ქარტეხილით იშლება ჩვენ წინ და ის შურისძიება, რომელზედაც კრიტიკოსები ასე ბევრს ლაპარაკობენ არის სწორედ ამგვარი ინტრიგა, რომლის კანვაზე დიდებულმა პოეტმა გამოსჭედა ის დიადი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლის გადაწყვეტა აწუხებს დღეს კაცობრიობას და მომავალში ეს საკითხები უფრო მთელი თავის სიმძაფრით დააწვება ადამიანს.

შეიძლება დღესაც ბევრისთვის კიდევ გაუგებარი იყოს შექსპირის „ჰამლეტი“! ჩვენ ხანაში, როდესაც ჯერ კიდევ იარაღი სჭრის საკითხს და სამყაროს, ცა გასვრილია ისევ ზარბაზნების ტყვიის წამლებით, ჰამლეტი სდგას განმარტოებით, სამქვეყნიერო ძაძაში გამოხვეული და გლოვობს ცხოვრების უკუღმართობაზე და მის უსამართლობაზე.

„დროთა კავშირი დაირღვა და წყეულმა ბედმა მე რად მარგუნა მისი შეკვრა“,—აი ჰამლეტის მისსია, აი რისთვის არის მოწოდებული ჰამლეტი? მთელი ქვეყნიერება მოწამლულია, მოშხამული და ჰამლეტიც მძიმე ატმოსფერაში, ტრაგიულ დიადი სულის კვეთებით, მისტიურ საიდუმლოებით მოცული სდგას ჩვენ წინ და ეძებს იმ სათავეს საიდამაც ბოროტება მომდინარეობს.

გერვინუსი სწერდა: „ჰამლეტს, რადაცა წინასწარმეტყველური ხასიათი აქვს, იცქირება შორს, მომავალში და სულით წინ უსწრობს თავის საუკუნეს“ და ეს წინასწარი განჭვრეტა ჰხდის „ჰამლეტს“ ყოველ საუკუნეში თანამედროვე ნაწარმოებად.

დღეს მთელი კაცობრიობა ჰამლეტის „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხთან სდგას და განა ეს ჰამლეტის „ყოფნა არ ყოფნის“ ტრაგედია მთელ კაცობრიობის ყოფნა არ ყოფნის ტრაგედია არაა?

უხილავი პარაზიტი არღვევს ჩვენ მყუდროებას, რაღაცა ჰხრავს და აქუცმაცებს ჩვენ ცხოვრებას, სწამლავს ჰაერს და სუნთქვას გვიძნელებს.

რამდენი ერი სდგას დღეს „ყოფნა არ ყოფნის“ საკითხის წინაშე? რამდენი ხალხის ბედი სწყდება დღეს ჰამლეტის ლოზუნგის ქვეშ: „ვიყო ან არ ვიყო“ და განა თანადროული არ არის ჰამლეტის ეს წუხილი: „ვინ მოითმენდა ჟამთა სიმწარეს, მტარვალის ჩაგვრას, სიამაყის თავგასულობას, ტანჯვასა მწვავსა უარჰყოფილი სიყვარულისას, მართლ მსაჯულების გვიანობის, მძლავრათ უკმეხობას, შეურაცხყოფას ღირსეულ ულირსისაგან?“ ნუ თუ თვითეული სიტყვა ბოლმის და ნაღველის ქვეშ არ არის ნალესი, დღევანდელ ჩვენი მწარე სინამდვილე. ნუ თუ გულიანი დაცინვა არ არის ჩვენზე ის, რომ დღევანდელ ჩვენ დაუსრულებელ შეხლა-შემოხვევას „უბრალო კამათობას ვერ

*) ეს წერილი ამოღებულია იმ ვრცელ წერილიდან, რომელიც დაწერილია „ჰამლეტზე“ 1917 წელში. ავტ.

იკარგება იმედები კონფერენციის ნაყოფიერი შედეგიანობისა, მით უფრო აშკარავდება იტალიელ საქმიან წრეების მისწრაფება რუსეთთან შეთანხმებისა.

### შრომის დაცვის კომისიაში.

**სანტა მარგარიტა** 7 მაისი. ეკონომიური კომისიის უკანასკნელ სხდომაზე, რომლისაც ირჩეოდა შრომის დაცვის შესახებ მიღებული რეზოლიუცია, რაკოვსკიმ განაცხადა, რომ მთელ ქვეყნიერებაზე ერთად ერთ სახელმწიფოს, რომლის სოციალური წყობილების საფუძვლად უდევს შრომის დაცვის დებულებები, ანტონიის კაპრიზის წყალობით მიეცა მხოლოდ სათათბირო ხმა. რუსეთის დელეგატებმა ასეთ პირობებში უარი სთქვეს მიიღონ მონაწილეობა ამ კომისიის მუშაობაში. რაკოვსკიმ გამოააშკარავა მთელი ის პირფერობა, რომლითაც გაჟღენთილია რეზოლიუცია, რომელსაც შრომის დაცვის ზომები და თვით შრომის ინტერესები... (დასასრული მიღებული არ არის).

**ვარშავა, 6 მაისი.** შრომის დაცვის კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ამსტერდამის პროფკავშირთა ინტერნაციონალის მემორანდუმი. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც ცნობათ მიიღეს მუშათა კავშირების სურვილი ითანამშრომლონ გენუის კონფერენციასთან ერთად, კომისია აღნიშნავს, რომ მემორანდუმში მოყვანილი ზოგიერთი წინადადებანი უკვე განხილულ იქნა კონფერენციაზე და გადაწყდა იმგვარად, როგორც იგი შეეფერებოდა თანამედროვე პირობებს.

### რუსეთის ცნობის გარშემო

**ვარშავა, 6 მაისი.** იტალიის დელეგაციამ შეიტანა წინადადება დაუყოვნებლივ აირჩიათ კომიტეტი, რომელიც შეუდგებოდა საბჭოთა მთავრობის დეიურე ცნობის საკითხის განხილვას.

### საფრანგეთის პოზიცია

**ანტვერპი, 7 მაისი.** საფრანგეთის ნოტამ, რომელიც გადაეცა ფაქტას და რომელიც ეხება საფრანგეთის უარის განცხადებას, ბელგიელების გარეშე არ მოაწერონ ხელი რუსეთის კონტრ-პირობების საპასუხო მემორანდუმს,—იტალიელებზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. ინგლისმა ოფიციალურად განიმეორა თავისი განცხადება იმის შესახებ, რომ დანარჩენი სახელმწიფონი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მემორანდუმზე ხელის მოწერით, მზად არიან განაგრძონ რუსეთთან მოლაპარაკება საფრანგეთის და ბელგიის გარეშე.

### რუსეთის საკითხი.

**მოსკოვი** 8 მაისი. მოგვყავს შინაარსი რუსეთის დელეგაციის იმ მოხსენებისა, რომელიც გადეცა მოკავშირეთ და რომელიც წარმოადგენს ჩიჩერინის დამატებას. დღეს-დღეობით, მოკავშირეთა საპასუხო მემორანდუმის მიღებასთან დაკავშირებით, ამ მემორანდუმს, რომელშიც ჩამოყალიბებულია ჩვენი ძირითადი მოთხოვნილებანი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ძირითადი მუხლები, რომლის უარყოფაც მოასწავებდა იქნებოდა რესპუბლიკაში საბჭოური ცხოვრების აღორძინებისა, ც აგრეთვე რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნების შეუძლებლობის ალსარებს. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ ლონდონის სპეციალისტების გეგმა, რუსეთის მეურნეობის აღდგენის შესახებ, არსებითად ეწინააღმდეგება იმ დებულებებს, რომელიც შემუშავებული იყო მოკავშირეთა მიერ კანში და რომელიც სავალდებულოთ იყო მიჩნეული კონფერენციის ყველა მონაწილეთათვის ამ გეგმას საფუძვლად უდევს ისეთი პრაქტიკული მოთხოვნილებანი, რომელიც არა თუ მარტო ექსპლოატაციას მოასწავებს, არამედ გამოხატავს რუსეთის მთელი მშრომელი ხალხის უცხოელ კაპიტალისტებისათვის სრულ დამონებას.

### საფრანგეთის პოზიცია.

#### უმაღლესი საბჭო.

**ნაუენი** 5 მაისი ინგლისური პრესის ცნობით ლოიდ-ჯორჯი მოითხოვს, რომ იმ სახელმწიფოთა თათბირი რომელთაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებას, მოეწყოს გენუაში 31 მაისამდის. ჰავასის სააგენტოს ცნობით პუანკარე წინააღმდეგი იქნება მონაწილეობა მიიღოს უმაღლეს საბჭოს მუშაობაში 31 მაისამდის.

#### უცხო კაპიტალის გარანტიები და საბჭოთა მთავრობის ცნობა.

რუსეთის მეურნეობის სიძლიერის ნამდვილი აღორძინება, ნათქვამია მემორანდუმში, შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ რუსეთის ხალხისათვის დაუყოვნებლივი და ფართე დახმარების აღმოჩენით ევროპის კაპიტალისა და ტეხნიკის გრძელ ვადიანი სავაჭრო და ფულის კრედიტების ფორმაში. საბჭოთა მთავრობამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლით საკმაო გარანტიები მისცა უცხოეთის კაპიტალისტებს. მაგრამ ამ გარანტიებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ექნეთ ძალა, თუ საბჭოთა მთავრობა სავსებით იქნება ცნობილი და მის უფლებებს არავინ არ შეედავება. ამასთან ერთად საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია დამუშავს მისთვის ზიული კანონმდებლობის თავზე მოხვევა უცხოელ კაპიტალის მუშაობისათვის „სათანადო" პირობების შექმნის განზრახვით.

**ჩვენი მოვალეობანი და რევოლიუციის უფლებები.** დელეგაცია აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობა ყოველთვის ასრულებდა თავის თავზე მიღებულ ყველა ვალდებულებათ. ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში, როდესაც საბჭოთა ხელის-უფლებამ მრავალი ხელშეკრულება დასდვა საზღვარგარედ, არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, როდის მას დაერღვიოს დანაკისრები ვალდებულება. მოწინააღმდეგე მხარის ცნობები, რომელიც ხშირად იბეჭდებოდა პრესაში წარმოადგენენ. სიყალბეს. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მოქმედება, რომელიც რევოლიუციონური კანონებიდან გამომდინარეობდა და რომელიც მიმართული იყო უცხოელ კაპიტალისტების ქონების ნაციონალიზაციისაკენ, სრულებითაც არ ქმნის მისთვის ვალდებულებას აუნაზღაუროს მათ ზარალი. გარდა ამისა, დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტამ საბჭოთა ხელისუფლებისა და ევროპის სახელმწიფოთა შორის, მთელმა შემდეგმა პოლიტიკამ საერთაშორისო კაპიტალისამ რევოლიუციონური რუსეთის წინააღმდეგ, იძულა საბჭოთა მთავრობა გადაექრთ დამდგარიყო იმ კაპიტალის წარმოებათა ყველა იარაღების კონფისკაციის გზაზე, რომელიც აწარმოებდა მასთან დაუნდობელ ბრძოლას.

**ჩვენი ანგარიში.** სამხედრო ჩარევამ, ევროპის სახელმწიფოთა ბლოკადამ და მათის დახმარებით სამი წლის განმავლობაში წარმოებულმა სამოქალაქო ომმა მიაყენა რუსეთს იმოდენი ზარალი, რომელიც ბევრად აღემატება უცხოელთა პრეტენზიებს, რომელნიც დაზარალდნენ რუსეთის რევოლიუციისაგან. რუსეთის მთავრობა მოითხოვს აუნაზღაურონ მას ზარალი საომარი მოქმედების წყალობით მიყენებული რკინის გზების დანგრევისა და გემების ჩაძირვისაგან და აგრეთვე როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში ფაბრიკა-ქარხნების და ქონების განადგურებისაგან. გარდა ამისა იგი მოითხოვს თავისი სამხედრო და სავაჭრო ფლოტის დაბრუნებას. მაგრამ მიუხედავად ამისა სურს რა საბჭოთა მთავრობას აღადგინოს საქმიანი დამოკიდებულება უცხოელ კაპიტალებთან, იგი სცნობს დაზარალებულ უცხოელთა უფლებას ზარალის ანაზღაურების მოთხოვნისას იმ პირობით, რომ განხილულ იქნეს ჩვენი კონტრ-პრეტენზიებიც. თუ კრედიტების მიღება რუსეთის მეურნეობის აღსადგენად დამოკიდებული იქნება წინანდელ ვალების გადახდაზე და თუ მთელი დადებითი შედეგი ახალი სესხისა და მასთან დაკავშირებული სწრაფი გაჯანსაღება ჩვენი მეურნეობისა, დასჭირდება მოკავშირეთა ვალების გადახდას, მაშინ რუსეთის ხალხისათვის ახალი სესხი კარგავს ყოველგვარ აზრს.

**ჩვენი პოლიტიკა მთელი ქვეყნის აღდგენის პოლიტიკაა.** დასასრულ რუსეთის დელეგაცია გადაჭრით მოხრეა ომის დროინდელ ვალების საერთოდ მოსპობისა და ხაზს უსვამს იმას, რომ საბჭოთა ხელის უფლება მოლაპარაკების დროს პირველ რიგში სვამს მომავალი რუსეთის ინტერესებს და ევროპის სამეურნეო განვითარებას. ის შეთანხმება, რომელიც სწყურია რუსეთის დელეგაციას, შეიძლება ჩაშლილ იქნეს კაპიტალისტების პატარა ჯგუფის გაუმაძღრობისა გამო, რომელნიც რუსეთის ყოფილი კრედიტორები არიან და რომელთაც ახელმძღვანელებს თავიანთი მთავრობათა პოლიტიკა.

## უცხოეთი

### საერთაშორისო პროლეტარიატის კონგრესის მოწვევა.

**ბერლინი.** 22 აპრილი. როტე-ფანეს ცნობით, კომ. ინტერნის ბერლინის დელეგაციამ მიმართა ლონდონისა და ვენის ინტერნაციონალებს წინადადებით, რომ დაუყონებლივ მოწვეული იქმნას „კომისია 9-სა" იმ მიზნით, რომ გამორკვეული იქმნას კომისიის დამოკიდებულება იმ მდგომარეობასთან, რომელიც შეიქმნა გენუაში. წინადადებაში ხაზგასმულია; რომ ყოველგვარი მოლაპარაკების თავიდან აშორება განიარაღების შესახებ, მოკავშირეთა მოთხოვნილებანი, რომელნიც ესწრაფებიან ლიკვიდაციას რუსეთის რევოლიუციის ყველა მონაპოვართა და მათი დამოკიდებულება რუსგერმანელ ხელშეკრულებასთან, წარმოადგენენ დიდს საფრთხეს პროლეტარიატისათვის, თუ რომ მსოფლიო პროლეტარიატის კონგრესის მოწვევა წინადებურად გადადებული იქმნა. „ბერლინის კონფერენცია"—ლაპარაკია შემდეგ დელეგაციის მიმართვაში,—მოითხოვდა რომ მუშები გამოსულიყვნენ რუსეთის რევოლიუციის საშველად, რომელსაც ამ ჟამათ ემუქრება კაპიტალისტური დიპლომატია".

ამტკიცებს რა მას, რომ შექმნილ მდგომარეობის წინაშე არა ხანგრძლივი დაგვიანებასაც შეუძლია მიგვიყვანოს მძიმე შედეგებთან მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ინტერესებისათვის, კომუნისტური დელეგაცია მოითხოვს, რომ პასუხი მის ფორმალურ წინადადებაზე, შესახებ დაუყონებლივ მოწვევისა „9 კომისიისა, მოცემული იქმნას 48 საათის განმავლობაში.

## ახალი ამბები

— **ქალაქის წარმოებათა მომარაგება.** ქალაქის ტრამვაის დირექტორის შუამდგომლობით ტფ. ქალ. აღმასკომის პრეზიდიუმმა ნება დართო ტრამვაის სამმართველოს მოაწყოს თავის შეუდავითი აპარატი კომუნალურ მეურნეობის განყოფილების გარეშე. ამასთანავე ეს დადგენილება გავრცელდეს ქალაქის სხვა წარმოებებზეც.

— **ჟურნალისტების ბიურო.** ჟურნალისტების ბიურომ დაადგინა, რომ სავალდებულოთ ჩაითვალოს ყველა იმ ჟურნალისტების მონაწილეობა ბიუროში რომელნიც ითვლებიან „რაბისპროსის" პროფკავშირთა წევრებად. ჟურნალისტები, რომელნიც არ ითვლებიან ბიუროში, არ ჩაითვლებიან კავშირის წევრებად.

— **ტფილისის ბირჟა.** უცხო ვალიუტის კურსი მაისის 8-ს (ათას მანეთობით):

| | |
|---|---|
| ოსმალური ლირა ოქრო | 850 |
| იტალიის ლირა | 13 |
| სტერლინგი | 975 |
| ამერიკული დოლარი—ჩეკი | 255 |

— **საავარაკო სახლები.** საექიმო საქმეთა განყოფილებაში (საავარაკო) სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატისა შემოდის მრავალი თხოვნები, რომ მიღებული იქმნან საექიმოთ აგარაკებში როგორც, ფ სიანი ისე უფასო ავადმყოფები. გამრჩევი კომისია სახ. კომისარიატისა ახლო მომავალში შეუდგება ამ ორგანოების განხილვას.

— **შრომის მოწოდება.** პეტროგრადის ამხანაგობა პასუხისმგებელ შრომისამ თავის რწმუნებულთა სახით თფილისში მიმართა ტფილისის აღმ. კომიტეტს წინადადებით, რომ ის მზათ არის გაუწიოს სამსახური ქალაქის დაწესებულებებს ფულით, საქონლით და ყოველგვარი საპასუხისმგებლო აპერაციებით. ამასთან ამხანაგობა გარანტიას იძლევა კეთილსინდისიერად შესრულებულ იქმნას წევრების მიერ უკანასკნელთაგან თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი.

— **შორაპნის მაზრა.** შორაპნის მაზრისათვის სათეს მასალათ ამ დღეებში გაიგზავნა 3000 ფ. სიმინდი. ამის გარდა დამშეულთათვის ახლო აღმოსავლეთის დამხმარე ამერიკელ კომიტეტმა გაგზავნა 9 ვაგონი სიმინდი. დამშეულთა დახმარების საქმეს დიდს სარგებლობას უწევს მუშათა კოოპერატივი, რომელმაც მოაწყო სიმინდის გაყიდვა ღირებულების კვალობაზე 50—100 ათას მანეთამდე ფუთი.

— **ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგ.** ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოება მაისის 22-ან ივნისის 8 დე აწყობს ექიმებისთვის სპეციალურ ლექციებს მალარიასა და ტუბერკულოზის შესახებ. ლექტორებად მოწვეულნი არიან სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები და ცნობილი სპეციალისტები. ლექციები იქნება ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე, რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში და საუნივერსიტეტო კლინიკებში. ამიტომ საზოგადოება იწვევს ამ ლექციებზე, როგორც [illegible] პროვინციაში მყოფ ექიმებს. დასასწრებად წინდაწინვე ჩაეწერონ, [illegible] ლთა რიცხვი განსაზღვრულია. ლექციებზე ჩაწერა სწარმოებს ანატომიური ინსტიტუტში (დიდი მთავრის ქ. № 51) საზოგადოების მდივანთან ზაქ. მაისურაძესთან და გინეკოლოგიურ კლინიკაში (ოლღას ქ. № 50) მორიგე ექიმთან მთელი დღის განმავლობაში.

— **საქართველოს ნავთსადგურებში ბათუმში.** 4 მაისს ნავთსადგურებში მოვიდა 5 იალქნიანი ხომალდი სხვა და სხვა 415 ფუთი ტვირთით; იმავე დროში გავიდა ნავთსადგურიდან ამერიკული გემი „კოდიუს" კონსტანტინეპოლში 530 ტონი სხვა და სხვა ტვირთისა და 4 იალქნიანი ხომალდი 3150 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით. ღამის 12 ს. 4 მაისს ნავთსადგურში იდგა 6 გემი და 44 იალქნიანი ხომალდი.

— **ქალაქის სკოლები.** ქ. ტფილისის განათლების განყოფილება არკვევს მოწაფეთა რიცხვს ქალაქის სკოლებში, რომელნიც ჩ მოვიდნენ ტფილისში სასწავლებლად პროვინციიდან.

— **აგარაკები.** ამ დღეებში გავა ტფილისიდან ლიხნკურ—საექიმო კომისიები რემონტის საწარმოებლად აგარაკების ბორჯომსა, აბასთუმანისა, კოჯორისა, მანგლისისა და ახტალისა.

— **საბჭოების ხელ ახალი არჩევა.** ტფილისის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა იცნოს საჭიროდ ხელ ახალი არჩევნების მოხდენა ტფილისის საბჭოებისა, როგორც კი დეპუტატთა რწმუნების ვადა გავა და საარჩევნო კომპანიის წინასწარი მუშაობის გასატარებლად დაარსდეს საარჩევნო კომისია. კომისიის მდივნად დაინიშნულ იქმნა ამხ. ივანოვ კავკასკი და წევრებად გ. კიკნაძე და თითო წარმომადგენელი საქ პროფკავშირებიდან, ტფილისი ქალაქის საბჭოდან, წითელი ჯარიდან და მემარცხენე სოციალფედერალისტებისაგან კომისია ხელმძღვანელობს საარჩევნო ინსტრუქციებით.

— **საბჭოთა სახლები.** ტფ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა: შემოსავლიანი სახლები დასტოვოს თავის გამგებლობაში, ხოლო შემოუსავლიანი სახლები გადასცეს იჯარით სამეურნეო ორგანიზაციებს და უკიდურეს შემთხვევაში ყოფილ მფლობელთ, ან კერძო პირებს.

— **საათის ისრის გადაწევა.** ტფ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ 10 მაისს ღამის 12 საათიდან გადაწიოს საათის ისარი ერთი საათით წინ.

## სამხატვრო ქრონიკა

**„ჰამლეტის ახალი დადგმა.** ორშაბათს, მაისის 15-ს, სახალხო სახლის სცენაზე დადგმული იქნება შექსპირის „ჰამლეტი". ტრაგედიის ახალი ინტერპრეტატორი ვ. გარრიკია, რომლის რეჟისორობითაც მიდის ეს პიესა. შექსპირის დიდებულ ნაწარმოებს დღემდის ქართულ სცენაზე შეკვეცილს და უმთავრეს ადგილების გამოკლებით სდგამდნენ. ვახტანგ გარრიკი სდგამს პირველად იმ სცენებს, რომელნიც უმთავრეს ფუძად. და დედა აზრად არის გატარებული მთელ ტრაგედიაში.

პიესის კარგი ანსამბლისათვის „ჰამლეტში" მოწვეულნი არიან ჩვენი სცენის საუკეთესო არტისტიული ძალები. თვით ჰამლეტის როლს ვ. გარრიკი ასრულებს.

**გაზ. „პოეზიის დღე"** რედაქციამ მიიღო საქ. ახალ მწერალთა საბჭოსაგან გამოცემული გაზეთი „პოეზიის დღე", რომელშიაც მოთავსებულია წერილები და ლექსები შემდეგი ავტორებისა: ტიციან ტაბიძის, ვახტანგ კოტეტიშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, პაოლო იაშვილის, კოლაუ ნადირაძის, გიორგი ლეონიძის, რაჟდენ გვეტაძის, გრიგოლ ცეცხლაძის, ნ. მიწიშვილის, შალვა აფხაიძის, შალვა კარმელის, ნ. ლორთქიფანიძის, და სხ.

— **მეოცდაერთე ხუთშაბათი.** ხუთშაბათს, მაისის 11 ს ხელოვანთა სასახლეში (სერგ. ქ. № 13) პროფესორი დიმიტრი უზნაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ბერგსონი". დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ბილეთები იყიდება შესავალთ 6.

---

გამყოფიენებთ ორი ათას კაცს და ოქროსაც თუნდ ოცი ათასი? ან კიდევ ის, რომ ჰამლეტი სასტიკად ჰკიცხავს ფორტინბრასის მიერ ომის დაწყებას და ამბობს, რომ „იგ (ესე იგი—ომი) სიმდიდრისა და ფუფუნების ნაყოფი არის, იგი მუწუკად შიგნით გვაძში რომ დაწყლულდება, გარედამ თითქო უმიზეზოთ ჰკლავს ადამიანს... უნდა იბრძოლოს რადაც მცირე მიწის გულისთვის, რაიც მაჩხუბარ მეომართა ვერც კი დაიტევს და არ იკმარებს მისთვის მკვდართა მისაბარებლად".

დღეს, როდესაც მეფეების ტახტები ერთი მეორეზე ინგრევა რა სარკაზმი უნდა იყოს ჰამლეტის მიერ მეფე კლავდიუსის გამასხარავება, როდესაც იგი დასცინის „მსუქან ხელმწიფეს" რომელიც „მჭლე გლახაკთან" ერთად სიკვდილის შემდეგ „პოლიტიკოსის მატლების სუფრაზე" იქნება მიტანილი!

და სწორედ ამაშია შექსპირის დიდებული ტრაგედიის დიდი ღირსება, რომ იგი გვგონიათ—თითქო დღეს იყოს დაწერილი და ყოველი სიტყვა—გამოწვეული—დღევანდელ დროის კარნახით.

„ჰამლეტი" ცხოვრების ენციკლოპედიაა, სადაც ყველაფერი თქმულა, ყველაფერი აღნუსხულა, მაგრამ ადამიანი კი ვერ ჩასწვდომია მის უძირო აზრთა ზღვას, ვერ ამოუშრეტია სავსებით მისი ფარული საიდუმლოებანი.

„ჰამლეტი" სიბრძნის წიგნია, რომელშიც ასახულია ადამიანის ცხოვრება, მაგრამ ადამიანს არა აქვს ხილვა ამ ცხოვრების".

„ჰამლეტი"—სწერს აი ხენგალდი „ადამია, რომელსაც არც წინად და არც შემდეგ არ ჰყოლია ბადალი. „ჰამლეტი" ლოგოსია მაღვლიო ხელოვნებისო".

„ჰამლეტი" ეს მეორე სახარებაა და მრავალი პოეტი „ჰამლეტი"-ს მხოლოდ ერთ სასაფლაოს სცენისთვის მთელ გეოთ-ტის და შილლერის ნაწარმოებს სთმობდნენ.

და აი ასეთ გასაოცარ ნაწარმოების გარშემო შეიქმნა აზრთა სხვა და სხვაობა. მე განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჰამლეტის ის დადებითი მხარე, რომელიც სხვებს უარყოფითი მხარედ მიაჩნიათ!

ბევრს გონია, რომ ჰამლეტი მოუხერხებელი შურის მაძიებელი მიტომ არის, რომ ჰამლეტი ბუნებით მეტად სუსტნებისყოფისაა და ამიტომ გადაწყვეტით ვერ მოქმედობს. „რადა საჭიროა დაყოვნება, მაგალითად, ამბობენ ბევრი კომენტატორები, როდესაც ჰამლეტმა უკვე გაიგო აჩრდილიდან თუ მისი მამის მკვლელი ვინც იყო, განა შურს ვერ აგებდა?" სწორედ რომ ვერ აგებდა შურს ჰამლეტი. მის ადგილას რომ ლაერტი ყოფილიყო—ეს სულ სხვაა. ლაერტი ერთი წუთითაც არ მოიცდიდა. მ წრაფლ იშიშვლებდა ხმალს და შურის ძიებისკ ნ გაექანებოდა.

მაგრამ ჰამლეტი „თავის" კაცია, იგი ინტელიქტია დიადი. მისი მოქმედება სიტყვით იწყება და სიტყვითვე თავდება.

შექსპირმა შურის ძიება და პრაქტიკული საქმიანობა დაუპირდაპირა იმ ადამიანს, რომელიც ყოველთვის „თავით" მოქმედობს და არა „ხელით", რომელიც მხოლოდ „ჰკაწრავს და არ კი სჭრის" რომელიც „ენით მიმ რთავს იარაღსა და არა მ ხვილით".

ჰამლეტი ჩინებული თეორეტიკოსია, იდეალისტი, ის მოკლებულია პრაქტიკულ ტაქტს და არც სურს გამოვიდეს საბრძოლველად ცხოვრების მოედანზე. დაე იბრძოლონ ფორტინბრასებმა, შურის აგონ ლაერტებმა, მხოლოდ ჰამლეტებმა კი გზა უკაფონ თავის მეცნიერებით ახალ კულტურას და ცხოვრების ნათელი შუქ ჰფინონ.

ვახტანგ გარრიკი.

(დასასრული იქნება)

## მკითხველის შენიშვნები

როცა რომელიმე ქვეყანაში რევოლიუცია ხდება, მისი ქარიშხალიანი ტალღები, შეანგრევენ ხოლმე არსებულ ფსიხოლოგიის ზღუდეებს შიგნით, ახდენს აქ ძირითად ცვლილებებს და იქ მიძინებულ შემოქმედების ენერგიას ძალს უფრთხობს და აყენებს პროგრესის გზაზე. რევოლიუციის ძირითად პრინციპთაგანია: ეროვნული კულტურის აყვავება და ეროვნული თვითშეგნება-გამორკვევას და მისგან ფანატიკურ წარმოდგენა-რწმენის განდევნა. როცა რომელიმე ერის კულტურა ჯეროვნად ვითარდება და მისი კულტურის შემწეობით ეცნობა სხვა ეროვნების ლიტერატურას; გაეცნობა თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილების და შოვინიზმის მთავარ მიზეზებს, მაშინ, მისი გონების სალაროდან, სამუდამოდ იდევნება კაცი-ჭამია შოვინიზმის გრძნობა.

თუმცა რევოლიუცია, პირველ ხანებში ნგრევის პროცესში გამოიხატება, მაგრამ გადადის საერთო აღმაშენებლობის პროცესში. ეროვნული კულტურა, სრულებითაც არ ნიშნავს ნაციონალიზმის გაღვივებას, როგორც ეს ჰგონიათ ზოგიერთებს. პირიქით, ეროვნული კულტურის აყვავება სპობს შოვინიზმს და გვიახლოვებს სოციალიზმს.

ისე კი არ არის, როგორც ამ რამოდენიმე დღის წინედ, ერთმა გამოჩენილმა პირმა სთქვა: „მე რომ ეროვნულ კულტურის მომხრე გავხდე, იმ შემთხვევაში, აუცილებლად ნაციონალისტის ქურქი უნდა წამოვისხაო". მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ზემოდ მოყვანილი მოსაზრება სწორი, რომ იყოს საერთაშორისო ლიტერატურა და ენა; როცა ასეთი არ არის, მისი მიღწევა შეგვიძლიან ეროვნულ კულტურის უმაღლეს საფეხურამდე აყვანის შემდეგ.

რევოლიუციას არ ძალუძს მოსპოს ეროვნული გრძნობა ან და ნაციონალიზმი.

ეროვნულ გრძნობას რევოლიუცია კი არა სპობს, არამედ აკეთილშობილებს და იგი ანვითარებს. შევეხოთ ქართულ ლიტერატურას და მის ღირებულებას.

საზოგადოდ ქართული ლიტერატურა ღარიბია. ჩვენ არ მოგვეპოვება ისეთი წიგნები, რომლებსაც ძალუძდეთ ჩვენი სულიერი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ამ ნაკლის შევსება შეიძლებოდა უცხოეთის მწერლების მიერ დაწერილი საუკეთესო ნაწარმოების გადმოთარგმნით ჩვენს ენაზე. მხოლოდ გადმოთარგმნილი წიგნები აუცილებლად უნდა იყვნენ სერიოზულ შინაარსისა. თუ მართლა ვისმეს უნდა, რომ ქართველი ხალხი კულტურის მაღალ საფეხურამდე ავიდეს, მან აუცილებელ საჭიროებად უნდა იცნოს შემდეგი და სთქვას: ქართული ლიტერატურა განიცდის სინაკლულეს როგორც შინაარსით, ისევე რაოდენობით.

ჩვენი ლიტერატურის დიდი ნაწილი არის ისეთ უბრალო შინაარსით ე. ი. უბრალო საგნების შესახებ დაწერილი, როგორიც არის ვარდ ყვავილების გალმერთება. ჩვენი პოეტები, რომლებიც ძილშიაც კი ვარდებს და ყვავილებს უმღერიან, მე ისე მგონია, რომ ჩვენმა პოეტებმა ვარდ-ყვავილების მეტი სხვა არაფერი არ იციან.

საზოგადოთ ჩვენს ლიტერატურაში, უმაღლეს წერტილამდე არის გამეფებული ორი მიმდინარეობა: ერთი ვარდ—ყვავილების გალმერთება; მეორე კი ქალების „ოქროს ფეხების გალმერთება" ან და ქალების წინაშე განთხვევის იდეის რაღაცა არაჩვეულებრივი დასურათება.

ყოველი ქართველის კალამი უნდა სცდილობდეს, რომ ყოველ ქართველის გონების სალაროდან განდევნოს ქალებისადმი გრძნობა და მის მაგიერ ჩანერგოს პატივისცემა და დაფასება.

რაც შეეხება ჩვენი ლიტერატურის რაოდენობას, ამის შესახებ ითქმის შემდეგი: რომელ სამკითხველოშიც უნდა შევიდეს ქართველი მკითხველი, უსათუოდ მან სანთლით უნდა ეძებოს ქართული წიგნები. სიმძიმეს განიცდის და იძულებულია რუსულ წიგნებში ეძებოს ცოდნის შეძენის წყარო.

ეს დამღუპველი და გადამგვარებელი მოვლენა აუცილებლად უნდა იქმნეს მოსპობილი.

მე არა მგონია, ისე აბუჩად იყოს სადმე აგდებული მკითხველი, როგორც ჩვენში. ვისაც რა მოესურვება, იმასა სწერს და მის ღირებულების შესახებ კი ფიქრი სრულიად ავიწყდება.

(დასასრული იქნება.)

ბ. ლაზარაშვილი.

## თეატრი და ხელოვნება

### სიმფონიური კონცერტი.

აპრილის 30 ს სახელმწიფო I კონსერვატორიაში, დირექტორის კომპოზიტორ ზაქ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილმა მოწაფეთა სიმფონიურმა კონცერტმა დიდათ დააინტერესა ტფილისის საზოგადოების ფართო მასა, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით ახლო სდგას მუსიკალურ კულტურის გამავრცელებელ დაწესებულებასთან. მე ვფიქრობ ისეთი პირებიც კი, რომელნიც საწინააღმდეგოთ იყვნენ განწყობილნი, არ უარყოფენ იმას, რომ რესპუბლიკაში მუსიკალური უმაღლესი განვითარება არის თავის დანიშნულების სიმაღლეზე და იმყოფება ისეთ საიმედო ხელში, რომელთაც უყვართ და იციან თავიანთი საქმე. ეს ბრწყინვალეთ დაამტკიცა მოწაფეთა სიმფონიურმა კონცერტმა. სხვა და სხვა გვარი და სერიოზული პროგრამა, რომელიც შესრულებულ იქნა თითქმის მთელი თავისი შინაარსით კარგა, ამტკიცებს ზევით გამოთქმულ აზრს.

კონცერტი დაიწყო მოცარტის სიმფონიით g-moll, რომელიც შეასრულა მოწაფეთა ორკესტრმა კონსერვატორიის დირექტორის ზაქ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით. და უნდა ითქვას სიმართლე, რომ დირიჟორის დიდი შრომა გაუწევია ორკესტრის შეგროვებით, რაც მეტად ძნელია, ვინაიდან კონსერვატორიის მოწაფენი იმავე დროს არიან სხვა სასწავლებლების მოწაფეებათ, სადაც ამ ქამად მზადებაა გამოცდებისათვის და რაც შესაძლებელი იყო სისრულის მისაღწევად,—გაკეთებული იყო. სიმფონია ისმოდა მძლავრად დინამიური დეტალებით და ცოცხალი მელოდიური სურათით. მხოლოდ მესამე ნაწილი მენუეტი ვერ იყო შესრულებული საკმაო დასრულებულად რაც აიხსნება სკრიპკებისა და cello-ების მცირერიცხოვნებით, რომელთაც ხშირად ფარავდა ორკესტრის ლითონის საკრავთა ნაწილი.

ძლიან კარგათ იქნა შესრულებული ამავე ორკესტრის მიერ ზაქარია ფალიაშვილის დირიჟორობით სვენსენის ლეგენდა „ზორაჰ ალდა" მოქ. ფალიაშვილმა ნათლად ახახა მთავარი თემები (ასეთია ორი) და განავითარა სიმძლავრე ფინალში (ნათელ დასაწყისთა გამარჯვება).

მოწაფე კაშაკაშვილმა (პროფ. ჯაყელის კლასი) შეასრულა ოთარბეგის არია ოპერა „დაისიდან" იპოლიტოვ-ივანოვის მომღერალს ლამაზი ხმა აქვს, შესამჩნევი შკოლა, შემდეგი მუშაობით, სცენის ლიქციის შიშით და რეპერტუარის მომზადებით—მოქ. კაშაკაშვილს შეუძლია დაიკავოს საპატიო ადგილი საოპერო სცენაზე. საწყენელი მხოლოდ ის არის, რომ ეს მდგომარეობა ვერ გაითვალისწინეს სახელმწიფო საოპერო დასის მეთაურებმა.

იუზბაშევის მიერ (პროფ. ვილშაუს კლასი) შესრულებული სკრიპკის კონცერტი ვერ ჩაითვლება გამარჯვებულად. კონცერტი ცუდათაა შესწავლილი და კიდევ დიდ მუშაობას მოითხოვს. ასევე უნდა ითქვას მოწაფე როსტომბეკოვის მიერ შესრულებულ ბეთხოვენის Es dur კონცერტზე. ჯერ ერთი: მოწაფე როსტომბეკოვს კარგად არ შეუსწავლია კონცერტი, და მეორე ის, რომ არ მიყვება რითმებს, რაც განსაკუთრებით ყურადსაღებია ბეთხოვენის შემოქმედებაში. ჩემი ფიქრით მხოლოდ ამ ორი მიზეზით აიხსნება დაკვრის ნაკლი თორემ ისე მოწაფე როსტომბეკოვი აუცილებლად მეტად ნიჭიერი ყმაწვილია. მოწაფე მალუნცევმა (პროფ. მინიარის cello-ს კლასი), რომელმაც შეასრულა დავიდოვის კონცერტი n-moll გამოიჩინა დიდი მუსიკალობა და საკმაო ღრმა ტონი.

კარგათ შეასრულა რახმანინოვის საფორტეპიანო კონცერტი fis moll მოწაფე ხისრიევმა (ვინოგრადოვის კლასი) მას დიდი ტეხნიკა, რითმი და ლამაზი შესრულება აქვს. აქ ორკესტრი ცოტა ხმა-მაღლა აძლიერებდა აკომპანიმენტს.

მოწაფე მიქაძემ ანმა (პროფ. ლიდერცკის კლასი) შეასრულა ლტონი ტომის ოპერიდან „სიფო". ის უკვე მომღერალია ჩამოქნილი. მუსიკალური, თავისუფლად ხმარობს თავის ხმას. ახალგაზრდა დამკვრელმა სკრიპკაზე ბინდიაკამ (პრ. ლედნიკის კლასი) ჩინებულად შეასრულა Ave Maria—შუბერტის prelude და Allegro პუნიან—კრეისლერის. მას დაკვრას ახასიათებს დასრულებული ტეხნიკა, მაგარი სმიჩოკი, სიმშვიდე. მომავალში ის დიდ გამარჯვებას პოვებს.

ახალგაზრდა პიანისტკა ეფტიფეც (პროფ. აისბერგის კლასი, რომელთანაც იგი გადავიდა გაბაშვილის კლასიდან) უკანასკნელს ადგილს არ დაიკავებს საესტრადო პიანისტ შორის. ის ნიჭიერია და მის წლებს რომ არ შეეფერება ისეთი დასრულებული დამკვრელი, (რა თქმა უნდა, მოწაფის მასშტაბით). შესრულდა სენ-სანის კონცერტი g—moll უკეთესის მოთხოვნა შეუძლებელია მოწაფე შ ხიანმა (ტერ სტეფანოვის კლასი) შეასრულა ლისტის კონცერტი es-duz. მას მუშაობა ბევრი აქვს მხატვრულ მხარეზე ისე ეს მოწაფე აუცილებლად ნიჭიერია და შემდეგი მუშაობით კარგი დამკვრელი იქნება კარგათ არის დაყენებული სიმღერის ensemble-ის საქმე (პროფ. ზაქ. ფალიაშვილის კლასი). შესრულებულ იქნა კვარტეტი ოპერიდან „აბესალომ და ეთერიდან" მოწაფე არქეპი ხმა იმღერა მარის არია ზაქ. ფალიაშვილის ახალ ოპერიდან. ამ ოპერით ფალიაშვილი ახალ გზას დაადგა (ევროპიულს). ზაქ. ფალიაშვილს დიდი ოვაციები გაუმართეს.

კონსერვატორიამ ბრწყინვალეთ ჩაატარა თავის გამოცდა.

პ. ბებუთოვა.

## მოწერილი ამბები

### ბორჯომი

პირველ მაისის დღეობა ბორჯომში გამართული იყო სპეციალურად გამოყოფილ კომისიის მიერ, რომელმაც წინასწარ შემუშავებულ გეგმის თანახმად, მორთო ქალაქი თაღებით, პლაკატებით, ტოტებით, ხალიჩებით და ილიუმინაციით. დილიდანვე სადღესასწაულოთ იყო განწყობილი. ოქტომბრის რევოლიუციის ბაღში დილის 10 საათისთვის იწყო დენა მრავალმა რიცხვმა მუშამოსამსახურეთა და ხეობის მცხოვრებ გლეხთა; საავიტაციო მატარებელმა მოიყვანა მრავალი მუშა ხალხი და ყველა ესენი წითელი დროშებით მიეშურებოდნენ ლენინის ძეგლთან.

მიტინგის გახსნას წინუძღოდა ინტერნაციონალის მღერა; მიტინგი გახსნილი იყო კომპარტიის პასუხისმგებელ მდივნის ამხ. სიამაშვილის მიერ, რომელმაც კომპარტიის და აღმასკომის სახელით წარმოსთქვა მისალოცი სიტყვა. მისალმების სიტყვით წარმოსდგნენ აგრედვე პროფ-ბიუროს მხრივ ამხ. კრავცოვი, წითელ-არმიის სახელით ამხ. ერმაკოვმა წარმოსთქვა სიტყვა 1-ლ მაისის დღეობის მნიშვნელობის შესახებ, რკინის გზის მუშათა კავშირის სახელით მისალმა ამხ. მიტრეველი, წარმოსთქვა სიტყვა ქართულ ენაზე ამხ. სიამაშვილმა, კომ-ახალგაზრდობის სახელით მისალმა ამხ. კოვინევი.

გამოტანილი იყო შემდეგი რეზოლიუცია: გლეხები, მუშები და მოსამსახურეები ბორჯომის რაიონის, თავის მრავალრიცხოვან მიტინგზე, დღესასწაულობენ რა 1-ლ მაისს საერთაშორისო შრომის განთავისუფლების დღეს, დარწმუნებულნი, რომ ეს დღესასწაული, რომელიც ატარებს კლასობრივ ხასიათს, იქონიებს საგრძნობ გავლენას ისტორიაში დროს მოქმედ ბურჟუაზიულ კლასის ზღუდეების დასანგრევად და დაახქარებს მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამყარებას მსოფლიო მასშტაბში გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს 3 კომუნისტურ ინტერნაციონალს. დღესასწაულის აღსანიშნავად, დადგმულ იქმნა ფ. ენგელსის ძეგლი, რომლის ადგილისაკენ მიტინგის შემდეგ გაემართა პროცესია. ფ. ენგელსის დამსახურების შესახებ მუშათა მოძრაობის საქმეში წარმოსთქვეს სიტყვა ამხ. სიამაშვილმა, კრავცოვმა და არევაძემ, ოქრომშიძის პატარა ქალიშვილმა, სთქვა ლექსი „1-ლი მაისი. ძეგლის დადგმაზედ ინტერნაციონალის მღერით პროცესია გაემართა მუშათა უბანში მუშათა კლუბის გასახსნელად—საავიტაციო მატარებელი დაიძრა წალვერისაკენ, სადაც ამხ. სიამაშვილმა გაატარა მიტინგი ადგილობრივ გლეხთა შორის. 3 საათისათვის ხაშურიდან მოვიდა საავიტაციო მატარებელი, რომელსაც მოყვა მუსიკის ორკესტრი. სადამოზედ ქართული კოლექტივის მიერ დადგმული იყო უფასოთ პიესა „არსენა", რომლის დასაწყისში ამხ. სიამაშვილის მიერ წარმოთქმული იყო სიტყვა. სპექტაკლმა ჩინებულად ჩაიარა, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო, დასასრულ ხალხი დაიშალა კმაყოფილი.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე ალხაზაძე.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დებულება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან მყოფ უცხო სახელმწიფოების საკონსულო წარმომადგენლების შესახებ.

1921 წლის აგვისტოს 8-ს თარიღითა და 64 ნომრით გამოცემული დეკრეტის 28 მუხლის შესაცვლელად საქართველოს სოც საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უცხო სახელმწიფოს საკონსულო წარმომადგენლად (გენერალურ კონსულად, კონსულად, ვიცე-კონსულად, საკონსულო აგენტად) საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობასთან ჩაითვლება ის პირი, ვინც თავის მოვალეობის აღსასრულებლად ჯეროვან დასტურს (ეგზეკვატურას) მიიღებს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობისაგან გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

2. საკონსულო წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ ურთი-ერთ მიმართვა, მათი სამყოფელი ადგილის განსაზღვრა, საკონსულო დაწესებულების მოსამსახურეთა შედგენილობა, კონსულების სამსახურებრივი მოქმედების მოსპობა, დროებით მოადგილეობისა და საქართველოს ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონსულების ურთიერთ მიმართვა წარმოებულ უნდა იქნეს იმ წესით, რომელსაც ამისათვის გამოსცემს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატი სათანადო უწყებებთან შეთანხმებით.

3. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მყოფ უცხო სახელმწიფოს საკონსულო წარმომადგენელს აქვს შემდეგი უფლება:

ა) საკონსულო წარმომადგენლის პირადად დაპატიმრება შეიძლება მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების დადგენილებით სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანის წესისამებრ; მისი წინასწარი დაპატიმრება კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მის წინააღმდეგ აღძრულ იქნა სამართლის დევნა ისეთ მოქმედებისათვის, რომელიც ექვემდებარება რევოლიუციონურ ტრიბუნალს ან სახალხო სასამართლოს—ექვსი მსაჯულის შედგენილობით;

ბ) საკონსულო წარმომადგენელი უწესო მოქმედებისა ან თავის სამსახურებრივი რწმუნებულობის გადამეტებისათვის არ ექვემდებარება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულებას: ყოველი ასეთი მოქმედების შესახებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის ადგილობრივმა დაწესებულებამ, აგრეთვე ამ მოქმედებისაგან დაზარალებულმა კერძო პირმა უნდა აცნობოს გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატს საქმის დიპლომატიური გზით წარსამართავად;

გ) საკონსულო წარმომადგენელი თავისუფალია ზოგად სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი პირადი და ნატურალური ბეგარისაგან;

დ) საკონსულო კანცელარია, რომელიც მოთავსებულია და ინახება კონსულის კერძო [illegible] და [illegible] რადი მიწერ-მოწერის გარეშე,—თუნდაც იმავე ბინაზედაც იყოს,—არ შეიძლება [illegible] [illegible] ლიერებულ ან დაბეჭდილი იქნეს საქართველოს [illegible] ტის მიერ კონსულის დაუთანხმებლად.—მაგრამ ამასთანავე საკონსულო კანცელარია არ უნდა გადაიქცეს თავშესაფარად იმ პირთა და საგნებისათვის, რომელთაც კანცელარიასთან კავშირი არა აქვთ;—უკეთუ ეს უკანასკნელი წესი დარღვეულ იქნა, გაჩხრეკა შეიძლება მხოლოდ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის თანხმობით;

ე) კონსულს ნება ეძლევა საკონსულოს შესავალ კარებზე გამოჰკიდოს ზარი თავისი სახელმწიფოს ღერბით და ზედ წარწერით: „ამა და ამ სახელმწიფოს საკონსულო (გენერალური საკონსულო, ვიცე-საკონსულო, საკონსულო სააგენტო" და თავისი ეროვნული დროშა.

4. ამ დებულების მე-3 მუხლში აღნიშნული გამონაკლისის გარეშე, საკონსულო წარმომადგენელი ემორჩილება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა კანონდებულებას.

5. დებულება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. მდივანი**,

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი **სვანიძე**.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სვანიძე**.

1922 წ. აპრილის 29.

ტფილისი-სასახლე.

### ბრძანება № 3.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

რადგანაც საქართველოსა და აფხაზეთის სოც საბჭ. რესპუბლიკების საზღვაო ტრანსპორტის სამართველო ხარჯებს პორტების შემოსავლიდან აწარმოებს და იგი მოხსნილია სახელმწიფო კმაყოფისაგან,—საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო იძლევა ბრძანებას:

1) საქართ. და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საზღვაო ტრანსპორტის სამმართველომ უნდა აუცილებლად განახორციელოს ფასის გადახდევინების პრინციპი, ე. ი. გადაახდევინოს ხოლმე სათანადო ბაჟი ყველა უწყებას, დაწესებულებას, ორგანიზაციას და პირს მათი საჭიროებისათვის შემოსული და გასული ნავსადგურებისათვის, საწყობ—სადგომებისა და მიწის ნაკვეთების სარგებლობისათვის და სხვა გვარი მეშველობისათვის, რასაც გაუწევს მათ საზღვაო ტრანსპორტი.

2) წინადადება ეძლევა ყველა უწყებას, დაწესებულებას და ორგანიზაციას დაუყონებლივ გაუსწორონ სრული ანგარიში საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს—ამ უკანასკნელის მიერ წარდგენილი სათვალავით, როგორც წარსული, ისე შემდეგი დროისათვის.

3) საქართველოსა და აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საზღვაო ტრანსპორტის სამმართველოს უფლება ეძლევა იძულებით გადაახდევინოს რაც მას ეკუთვნის, ჩამოართვას და დააცლევინოს საწყობი, დააკავოს ნავ-ჭურჭელი და სხვ. რისთვისაც მან უნდა ისარგებლოს ხელისუფლების სათანადო ორგანოების დახმარებით.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. მდივანი**.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სვანიძე**.

1922 წ. მაისის 3.

თბილისი—სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტ...

ტირაჟი 700
საქართვ. კომუნისტურ. პარტიის ცენტ. კომიტ. სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4.
ნ. დ. ს. ც.